კვირა 23 მარტი

ფასი 5 კაპ.

ეშმაკი

№ 10. იუმორისტ. ჟურნალი

სადღეისო კუპლეტები:

პარტიები გაგვიმრავლდა,
ორმოცდა-ათ ნაირია!
ხელ ჩართული ბრძოლა არის,
მონასტერი აირია!.—

კლუბებიც რომ გაგვიხშირდა,
მუდამ აყალ-მაყალია!
ყველა გიჟი იქ ბატონობს,
შეკურტნე თუ მაყალია!..

—

კრებებზე და არჩევნებზეც
ჩხუბი, აურ-ზაურია;
მიკვირს ყველას დღეს დავთრებში
რა ეშმაკმა აურია!..

მა—ნი.

* * *

მზე ჩაიწურა, მთელსა სამყაროს
გადაეფარა შავი ზეწარი...
ათი საათის შრომისა შემდეგ
დიდ ქარხანაში დარეკეს ზარი.
ამოიკვნესა მშრომელმა ხალხმა
და გამოვიდენ ქარხნიდან გარეთ,
მეტის შრომიდან ქანცგამილეული
ბედზე ჩიოდენ, გმინავდენ მწარეთ.
მათ აკლდათ პეტრე შრომისა შვილი
მათი იმედის გამომხატველი,
დიდი ხანია, რომ იმ უბედურს
გადაემტერა ქარხნის მართველი.
და დაითხოვა ტყვილა უბრალოთ,
რაც ფული ერგო: შამოელია,
პური კი არა წყალი არ ჰქონდათ,
რომ გაესველათ მშრალი ყელია.
ორი დღე არა-რა უგემიათ,
ათამაშებდენ ცარიელ წელებს;
„მამილო პური, პური მოიტა,“
პატარეები უშვერდენ ხელებს.
„ახ, მწარე ხვედრო—შავო ცხოვრებავ,
დაუნდობელო და უკუღმართო,
საით წავიდე, ვინ გამიკითხავს,
თუ ისევ ჩემებრ მშიერებს მივმართო?!
იმათ რაი აქვთ, მე რაი მომცენ“...
—„ადექი კაცო! რათ დაიღამე?
მე თავს არ ვჩივი, ავიტან—მხოლოთ
ამ პატარაებს აკამე რამე“?!
„რა ვქნა ბელუა“... ეს თქვა თუ არა
ზე წამოიჭრა გავიდა გარეთ
მიმოიხედა, შესდგა და ასე
ამოიგმინა გულიდან მწარეთ:
„სხვისთვის ვქმნით ოფლით ოქრო-სიმდიდრეს,
სხვისთვის ვქმნით ლხენა-სიამოვნებას;
ჩვენ ცალიერზედ გვტოვებენ, ამით
განვიცდით მწარე დუხჭირ ცხოვრებას.
თუ დასძარ ენა, სთქვი „წინალმდეგი—
მიიღებ დევნას—პასუხს უკმაკურს;
სამუშაოდგან გაგაძევებენ
მოგანატრებენ მალე ლუკმა-პურს.“.
ჩალუნა თავი, დაბლა ჯაუყვა,
დაუახლოვდა მუშების სადგურს
„პურს ვიშოვნიო“ აღარ დასცალდა,
მარჯვენა ფეხი წამოჭკრა აგურს:
გადაექანა ძირს ხრამისაკენ
გაცურდა, ქვაზედ მიარტყა მკლავი
და ოც საჟენ ქვეშ, ნევთიან ბაში,
ტურტულიან სილას ჩაასო თავი!..

—

შუა ღამეა, ნესტიან ქოხში
ისმის წუხილი, კვნესა საზარი,
ფერ-მიხდილ დედას თავის შვილები
ეკითხებიან: „მამა სად არი“?
—„მოიცათ შვილო, თქვენ გენაცვალე,
თუ კიდევ ცოტას გამაგრდებითო;
პურებს მოიტანს—მე სუფრას გავშლი,
და ყველა ერთად გამოვძღებითო...

ვ. აბრამიძე.

მესტვირე მაძასასლისი

(ლანჩხუთში).

წელზე ხმალი და ხანჯალი,
ყელზე მედალი მკიდია,
ხალხის ბედ ილბალს განვაგებ
ხელობა ჩემი დიდია.
თუმცა ეს ხალხი მრავალჯერ
ცხვარივით გაჩიყიდია,
ჯერ მაინც მათი კისერი
ჩემი ცხოვრების ხიდია.

გულ უბრყვილოა სოფელი,
არ უჭრის აზრი თვალები
ნუ თუ ვერ ხედავ, ყრუ ხალხო,
რომ აღარ შემებრალები?
ჩემი პროგრამა ხომ იცათ:
ფული, ღვინო და ქალები,
ახია თქვენზე რომ დარჩეს—
,,ედონიკა'' და ვალები.

მას ჟამსა შინა რომ ვიყავ
,,სტარშინად'' ამას წინაზე,
ტარიელობა გავსწიე
მიჯნურობისა ჯინაზე,
რამდენი ფული გავფლანგე
ურცხვი ქალების ბინაზე,
სასოფლო საქმეც მრავალი
გადავისროლე ყირაზე.

ასე საგმირო საქმენი
ბევრი რომ ჩამიდენია
წყევა და კრულვა, გაკიცხვაც
ჩემზე მრავალჯერ მსმენია.
საქმით ვეფერი დამაკლეს
სირცხვილის აღარ მცხვენია,
გაზეთებში რომ ჩამაგდეს
მე მხოლოდ იგი მწყენია.

როცა შევატყვე არ მქონდა
სოფლად სამყოფი პირიო,
სასირცხვოს გარდა საცხოთ
მომადგა გასაჭირიო,
თვით სათავეში ბრალდებას

გამოუთხარე ძირიო,
მშრალად გავედი ტალახში
თუმცა დამიჯდა ძვირიო.
მოცდა არ ღირდა, წავედი
ამერიკისა მხარესო
ვისაც წყევნა შევბირდი
უსაძღვროთ გაიხარესო.
ჩემთვის საჭირო ფულები
ქვესკნელში ამოთხარესო,
გაყიდეს ხარი, ურემი,
ყველამ მე მომახმარესო.
ამერიკაში ჩავედი
გავხთი ცირკისა ,,პრინციო,,
(ვინც რომ წამყვება ვერ მოვა
იგი წინ და წინ ვიციო,)
მომენდვენ, ველარ დავინდვე
გავსტეხე სიტყვა, ფიციო,
(,,მამიდაც ვნახე სარგებლით
თანაც გავხედნე კვიციო'',)
როცა გმიგეს ყოველი
იქაც არ გამახარესო,
გამობრუნება ვარჩიე,
ისევ სამშობლო მხარესო.
თუმცა ფულების სიძვირე
მმატებდა სიმწუხარესო,
ხრიკმეისტრობამ მიშველა
ეგ საქმე მოაგვარესო.
ქალი მოვნახე მდიდარი,
რომელიც გავდა მთვარესო,
მას ,,პრინცესობა'' უბოძე,
მე ძლიერ შემიყვარესო.
ოქრო და ვერცხლი ,,ჩეკებით''
რაც ქონდათ მომაბარესო,
გამოვეპარე, ძებნაში
ცრემლი და ოფლი ღვარესო.
იქიდან ლანჩხუთს ჩამოველ
ბლომათ ჩამოქყვა ფულები,
სადაც გამიჩნდენ ცნობილი
"სამოთხის მოციქულები"
მნათობ ვარსკლავთა კრებული,
მთვარე პირ შენასრულები,
ტკბილად მართობდენ, მათრობდენ
ეშხიდან დაჩაგრულები.
მეც დავეწაფე მწყურვ ლემ
უკვდავებისა წყაროსო,
(ვერ შესძლებს შაჰი სპარსეთის
ჩემებრ რომ გაიხაროსო),
ვისაც ნაშანში ავიღებ
ღმერთმაც ვერ დაიფაროსო,
ქვეყანას მსხვერპლად შევწირავ—
პირად მზეს ტანად საროსო,

ხან მოკლე ჩემი ქეიფი,
თუმცაღა შეუდარები,
ადრე გამწარდა საშინლად,
რადგან გათავდა ფარები.
სადაც პატივით მიღებდენ—
გამომიკეტეს კარები,
აღარ მიჩანდა ნუგეში
თავისა შესაფარები..
დავჯექი, ბევრი ვიფიქრე
გავიმახვილე გონება,
მივაგენ კიდეც საშველი
მამაჩემსა აქვს ცხონება.
ოცდა სამ კაცსა სავსებით
გავაყიდვინე ქონება,
(ნიუიორკში წაყვანა
რომელს არ მოეწონება)?
შვიდ ჯერ შვიდ კაცზე გავყიდე
მე ერთი უნაგირიო,
ვანამუსებდი თითეულს,
ფასიც დივათქვი ძვირიო.
გარდა ამისა „ნაშრომშიც"
ქე გამისწორეს პირიო
და ორას ოცმა თუმანმა
წაიღო თქვენი ჰირიო.
გავეც წასვლისა ბრძანება.
ბრუნავდენ როგორც ჯარაო,
ალაგი რომ არ დავკარგოთ
უნდა წავიდეთ ჩქარაო,
წავედით გზაში გადმომცეს
ყველამ სამგზავრო ფარაო,
მათ მიუჩინე დროებით
სამყოფად „ბალაჯარაო"
„ჩიფად უშანგი დავტოვე,
თან ბიჭებს დაუბარეო—
ბაქოში უნდა ჩავიდე
ცნობა მივიღე ცხარეო,
იქ კანტორაა, ბილეთებს
იაფად ვიგდებ ბარეო,
არ შეგეშინოთ. ხვალ მოვალ
თქვენ გული დაიწყნარეო.
წავედი და თან წავიღე
რაც ჰათ ებადა ყოველი,
იცადეს, არღარ გამოჩთა
იმათი სისხლის მწოველი.
ბოლოს შინისკენ დაბრუნდენ
ცხარე ცრემლების მთოველი,
ჩემსას ჩავიდენ, რაც იქ ქნეს
სიკვტილზეც აღარ მოველი.
მე ნიუორკში ჩავედი,
„პრინცესა" გავახარეო,

ვფიქრობდი, ველარ მიხილავს
ჩემი საშობლო მხარეო.
ცოლ შვილსაც ვარი უყავი,
მშობლებიც გავამწარეო,
გული „პრინცესას" მივანდევ,
თავი ცირკს შევაფარეო.
ხანი გავიდა, დაძველდა
ამბავი ბალაჯარისო,
მომწერეს შენი ბიჭები
გასტუმრებული არისო,
ხელში გვიჭირავს იმათგან
პირობა მრავალ-გვარისო,
ჩამოდი, გზის ხარჯს გიგზავნით
სიძვირე თუ გაქ ფარისო.
მიკვირდა ესე ამბავი,
არვისგან დასაჯერები
როგორ მეფიქრა, ოდესმე
მე დამინდობდა მტერები!
მემართლებოდენ.. (ნურავინ
პირში ნუ მომეფერები),
სახლში არ ჩამოყოლიათ—
თავზე თმა, ყბაზე წვერები.
არ დაუკარგა უფალმა
ჩემ სოფელს ჩემი თავიო,
ულვაშ მოპარსულს, ვერ მცნობდ
დიდი ხნით უნახავიო.
ხელში ავიღე თოხ-წალდი
თანაც გუთანი-კავიო,
სოფელი ამით მოვალბე
შემრჩა რაც ექენი ავიო.
ცოდვების გამოსაყიდათ
ვსცადე ყოველი ღონეო,
სოფლის „ბურჯებთან" კავშირი
დიდი რამ მოვიგონეო,
დიდი ძალა აქვს პურ მარილს,
მეც თავი მოვიწონეო.
ნასწავლი ხალხი დაბისა
მოვიმბრე დავიმონეო.
შებრუნდა ბედი წაღმისკენ
შემთხვევა მარჯვე ვნახეო,
მამასახლისად დადგომა
ხელახლად განვიძახეო,
უშანგისა და რაჟენას
ისე დაუდგი მახეო,
სიოსაც ვარი ვათქმიე
არ ჩანდა ჩემი სახეო.
არჩევნების დროს დავრაზმე
ინტელიგენტთა ჯარები.
დავაღებინე რესტორან-
სამიკიტნოის კარები.

ქართულ გემოზე მოვაწვყე
დროისა გასატარები,
(თუ პურ-მარილი არ გერჩის
არავის არ ეყვარები).
ორ არჩევანში დავმარცხთი
გაცუდდა დანაპირები,
მოსისხლე მტერად შემექნა
„ახალ თაობის გმირები“
(ეხლაც მაშინებს იმათგან
მომდგარი გასჭირები,
რას იტყვი ამათ სურვილსაც
კაცი რომ შეეწირები)
მარა მესამედ ვაჭრებიც
გამოვიყვანე ბაზრითა,
(ეროვნულ საქმის ქომაგნი
ბარიტონაის აზრითა)
ეთხარი ჩვენი პროგრამმა
ხალხის საყვლეფად ერთია
ქართულ ბურჟუას ვამრავლებთ
ელის მომწყობი ღმერთია.
„ინტელიგენტნიც“ მოვიდენ
კაკარდებ-ფოლაქებითა,
ამშობლოს გმირი მცველები,
ოთლებით და ჭიქებითა,
მართებულ ქომაგობაზე
ულარც კი ვეკითხებითა,
რთი კირილე რომ სტირის
ეორეისა ნებითა)
მათ მოყვა მოძღვარ-მამები
წყემსი კეთილი სულისა,
სნაც პროვიზორ ექიმი--
მქარვებელი წყლულისა,
ელის და ხორცის მალამო
დისგან დაჩაგრულისა,
ელ-მოქმედნი და მოძულე
ელის წამწყმენდი ფულისა.
დასძახეს ერთად ყრჟინა
ტარშინად„ დამამტკიცესო„
ემო ერთგულებაზე
ფელი დააფიცესო,
ანგისა და რაედენას
სული ვარი სტკიცესო
ალ თაობის ბიჭებმა“
თავში ქვა იცესო.
კაზუთშიც ჩავაწერიე
რუნდა სოფლის ბედიო,
ეგან „ზაკონით“ ჯიუტებს
ხრევინეს ქედიო.
თი ხმით აირჩიესო“
სწერდა ეს თავხედიო,

რედაქციასა ატყუებს
ეწევა შემოქმედიო.
დასრულდა ესე ამბავი
ვითა სიზმარი ღამისა
აწე ვაჭრებსაც ხელს უწყობ,
ღვდლებს შიში ნუ აქ დრამისა,
ყველას აუზღავ, ვინაც მყო
ღირსი ასეთი წამისა,
შამოსავალიც მექნება,
ზნოი და მადაც ჭამისა.
რა ჩემს გემოზე მოვაწყვე
ლანჩხუთის საქმე ყოველი,
მთელი სოფლის წაყვანას
ამერიკაში მოველი,
გზა „ბალაჯარით“ სჯობია,
წამოდით მე ვარ მთხოველი
თქვენს განათლებას თავს სწირავს—
თქვენი ერთგული—
შოველი.

პროვინციის მოღვაწე:

(შარჟი სოხუმისთვის.)

უფროსის წინ სდგას
წელში მოხრილი,
საქმეში ფრთხილი
და გამოქნილი...

ჩვეულებრივად
ბუხგალტერია:
არცა ჭკვიანი,
არც მთლად შტერია...

და ხან, როს გაშვის
როლშია მდგომი,
ის იბღვირება,
ვითარცა ლომი.
კი არ გეგონოსთ
აქ დიდი რამე:
სისულელით სჭირს
ეგ სითამამე!..

ონისიმე.

პატარა ფელეტონი

„ლაღიძის პანგზე“

ამაოდ მოდის ჩვენში ზაფხული,
ხალხი ამაოდ აღტყინებულა!
„ლაღიძის ქარხნის“ კარი დახშული,
ვით სამარე დადუმებულა.
ტრიფონის მიერ გამდიდრებული
მუნ ყველა მუშა გაძევებულა;
ზის ვახანია ჩაფიქრებული
და, თვალნი მისნი აცრემლებულა..
ვიღაც ვაჭარი რეკავს ტელეფონს:
—„ათასი ბოთლი ლაღიძის წყალი!“
—აბა გოდორი, გოდორი ტრიფონს
და, თვით მიირთვას მუშის საგზალი!..
ქარხანას შიგან ისმის ხანხალი,—
ქ წყალი იღვრის, იქ ტკბილეული, .
და ვახანია იგი, საწყალი,
ბოთლებზე ცეკვავს ბრაზ-მორეული
—ჩქარა, წყალი თქვა? სუკინ-ტი ჩორტი“
—რაო, რა უნდა: წყალი, თუ ტორტი?.
ქ-კი განრისხდა მედგარი ტრიფონ
ა ტელეფონსა მიადგა თვითონ:
—„ჩტო ტი გოვორიტ, ჩტო ხოჩიშ
დუშკა?
ის იდიოტ ნი ოდინ მუშა!
ქართველი ხართ?— ძალიან კარგი;
ახიასა ავკიდეთ ბარგი
კრუსუნით თქვენსკენ გასწია,—
თის შეწევნით, თუ მოადწია...
შემობრუნდა ტრიფონი იგი,
დგან დაუდგა მეორე რიგი,
რამ ბოთლებში რომ შეყო თავი,
აკუნტრუშდა, როგორც კრავი:
სად არის კაცი, სად არის წყალი!
იახანია, დაგიდგეს თვალი!..
დეგ რეკავენ... „ჩტო ვამ უგოდნო?
უტიდლოკ დვესტი მალინი მოჟნო?“
, შტო გოვორიტ, პოჩემუ მუჩიტ!“
ქვენ ვინ ბრძანდებით?..ლიმონათები?
ან თბილისში ძალიან დაცხა,—
გაიყიდა!.. მშრალი გვაქვს ხახა...
ახანია, დაგეწვა ფაცხა,
ე რამე, მიშველე რაცხა!..
ხანია-კი, იქვე ტრიალობს,
ბის ბრაზით გახელებული;
გლივ ბოთლები დაკოტრიალობს,
ურს თამაშობს თავგთა გრებული!

შუბი.

მეგობრული შარჟი.

გ. ქუჩიშვილი.

გიორგი ქუჩიშვილი.

(ანუ მქუხარე პოეტი.)

ტანში ჟრუანტელი გივლის, თმა ყალყზე გიდგება, ყურები ბანტურს დაგიწყებს, როცა მსოფლიო ისტორიას თვალს გადაავლებ და იქ აღბეჭდილ ქართველ პოეტთა დაბადება-ცხოვრების ამბავს ამოიკითხავ. გული გისივდება, თვალები ცრემლებით გებერება, მზად ხარ ყოველივე საშუალებას მიმართო, მზად ხარ სადმე პირ ღია სარდაფში ჩაიყურყუმალაო და წიი

დააყუჩო გაურჩებული გონება, აზვირთებული გრძნობები. ყოველ ქართველს, ვისაც თავის ქვეყნის კეთილდღეობა სურს, აუშფოთებლათ არ შეუძლია წაიკითხოს ჩვენი პოეტების ცხოვრების ისტორია. პირველ შეხედვაზე თითქო გაუკვირდება მკითხველს, რამ აამხედრა ასე სასტიკათ ქართველი საზოგადოება თავის პოეტების წინააღმდეგო, მაგრამ საკმარისია ერთი პოეტის ბიოგრაფია წაიკითხოს, რომ დარწმუნდეს თუ რა უბედურება არგუნეს

ერთ მეცნიერს აუხსნია რა მიზეზია, რომ ქართველ პოეტის დაბადების დღეს მარცხი ხდება ამ ქვეყნად. ბევრ ნაირათ შემოუარეს ამ საკითხს, მაგრამ დღესაც გამოურკვეველია.

იქნებოდა დილის 4 საათი 1581 წელს, დღითი პარასკევს, რომ მთელი კავკასია შეინძრა, ქვესკნელში გაისმა საზარელი გრიალი, კავკასიონის მთები წელში მოიზნიქენ, ასტყდა ძლერი ქარიშხალი, შავი ზღვა საშინლათ აბობოქრდა, თავის მქუხრე ტალღები ბათუმს შემოჰკრა. წალეკა, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, სამტრედია, ხონი, გორი და საბურთალოზე სევასტი გაჩეჩილაძის სასახლეს ერთი ბოძი გამოაცალა. ცა შავი ღრუბლებით მოიკენჭა, ასტყდა ჭექა ქუხილი, გავარდა მეხი, ორთაჭალაში ალუბლის ტოტზე მჯდომ ჩიორას დაეცა და კუდიდან ერთი ბუმბული გამოაცალა. მთელი თბილისი სასტიკმა შიშმა შეიპყრო, შუაბაზარში, რაჭველების სახაზე დუქანში ცხელი ხაშით შეკაზმული სამ ფუთიანი ქვაბი გადმობრუნდა, ხაში რაჭველებს გადაესხა და ექვსი კაცი გაიფუფქა. გულ შემზარავმა სურათმა ყოველი სულდგმული დააფრთხო, ადამანები ტახტ ქვეშ შეძვრენ, ძაღლებმა ყმუილი ასტეხეს, მნაცაკანის ხიდზე მიმავალი ნახშირით დატვირთული ჯორიც გულ გახეთქილი შეხტა უკანა ფეხები აიქნია და მენახშირეს გამურულ ცხვირზე წაუხახუნა. რამდენიმე წუთს მთელ დედამიწას ზანზარი გაჰქონდა. ყველას მეორეთ მოსვლა ეგონა და განემზადნენ სასიკვდილოთ. არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ მთელ სამყაროს ამცნო გიორგი ქუჩიშვილის დაბადება

დიხ, დაიბადა ჩვენი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი და ყველა ეს უბედურებაც თან მოიტანა მთელ კავკასიას. ენა ვერ გამოსთქვამს რა საზარელი ამბები მოხდა ამ დღეს: მიწის ძვრა ჭექა ქუხილი, მეხი, ქარიშხალი და სხვა. ეს მოხდა აქ დედამიწაზე. ასეთივე და უფრო გულ შემზარავი ამბავი დატრიალდა იქ ზეცაში ღრუბლებ შორის.

მეტათ სუსტი, ნაზი აგებულობის ბავშვი გამოდგა ქუჩიშვილი. დედა გულ მოკლული დასცქეროდა მის ძაფივით წვრილ ხელ ფეხს, დაჩუტულ მუცელს და პატარა რგვალ თავს. ყველაზე მეტათ გულს უხეთქდა მისი დიდრონი არაჩვეულებრივი თვალები, რომლებიც მუდამ ზეცისკენ ჰქონდა მიპყრობილი. სამი თვის იქნებოდა გიორგი, ზაფხულის ცხელი დღე იყო დედას აკვანი ჩეროში გამოეტანა და გრილი სიოსთვის მიეშვირა როგორც თავისი ოფლიანი გულ-მკერდი ისე პატარა გიორგის რგვალი თავი და ნანინას დამღეროდა. უცბათ გიორგიმ არტახებიდან ხელები ამოგლიჯა, ზეცისკენ გაიშვირა, პირი დაღო და დაიყვირა:

ვაჰ, წყეულო ჯოჯოხეთო
მოკუპრულო შავო ცაო,
დაიქექე, დაიგრგვინე
დაიმსხვერი დიდო მთაო.

შიშისაგან დედას გული წაუვიდა და მეზობლებმა ძლივს მოაბრუნეს. ყველა გაშტერებული იყო, არ იცოდენ რა მოხდა. ბოლოს გამოირკვა, რომ ქუჩიშვილის ლექსის ნიაღვარი წამოსკდა პირიდან. ამ დღიდან ის ანთებული თვალებით სულ ზეცას ემუქრება, სულ ღრუბლებში ნავარდობს და ვილაცაებთან სასტიკი ომი აქვს. ლექსები მრავლად წამოსკდა ქუჩიშვილს და ამ ცოტა ხანში ერთათ შეგროვებული მიერთმევა საზოგადოებას.

ირეთელი.

მერცხალს.

ნუ მილოცავ, შენ მერცხალო,
ნუ მახარებ გაზაფხულსა,
ნუ მიმზადებ ყვავილთ კონას,
წითელ-ყვითელ თაიგულსა.

რას გარგია პირუტყვთ ლხინი,
თუ გინდ ვარდი, ანუ ია,
როცა მეტყველს პირს მიკრავენ
და ხმა ვერ ამომილია!

როცა მართალს ფეხით მსრესენ,
ბოროტებას გააქვს ლელო,
როს ჩაგრულთა ცრემლის ღვარით
მორწყულია ირგლივ მდელო!

როს ჩემს ნაწვავ-ნაოფლარზედ
სხვა მიხდება მე ბატონად,
როს ბულბული ყვავად ჩნდება,
ყვავს ჰსახავენ იადონად!

მომილოცე მხოლოდ მაშინ,
როს არ კვნესდეს დაჩაგრული,
როს მეც შენებრ ვჭიკჭიკობდე,
როს მეც ვიყო მხიარული.

გოგია

გურული სცენა

„სალოცავი“

ქრისტიანები მიდიან ერუსალიმ-
ში, მაჰმადიანები ქაბეში, ზოგი სოფ-
ლის მასწავლებლები ბათომში. ქრი-
სტიანები ლოცულობენ ქრისტე-
საფლავზე, მაჰმადიანები მაჰმადი-
საფლავზე, მასწავლებლები კი—გას-
პარიანცისაზე: გზაი ერუსამეთში დ
ქაბეში ძალიანი გლახაა, ბათომ-
ში მართალი მოგახსენო, კაი სატრუ-
კუნო. ჩაჟდებიან პოეზში და ერი-
ჰა, გლეჯას მუადენენ ბათომის ქა-
ლაქში, მარა საყურებელია აგინ-
მისვლა გასპარიანცის ნაქალაქევში
ხან დღეში, ხან ღამეში, სულ აქი-
იქით იყურებიან, იბლუნკებიან, ხან
ჩაჟდებიან, ხან ადგებიან, არავ
დაგვინახოსო; ამას წინეა, ბათომში
გიახელი, დღე დამადგა ძლიერ ძნე-
ლი, ჩევიარე გზაზე, კაკალ ლორ-
დის კლასის გაღმა, ზედ კედელ-
დევინახე ერთი ატუზული კაცი,
კარდოსანი, ტენტეროსანი, ფიჯ-
კოსანი, ჰკვა-თხლეოსანი, ჩუმათ-
სანი, იდგა გაფიჟმიტებული, გარ-
ტებული, ტურასავით აქეთ იქ-
იყურებოდა; ბიჭო, აგია რაც
რომ ჩივიან, ნამდვილათ ჯიბგირ
მეთქი ვიფიქრე, ვერ მოგართვი პუ-
რიჟანი მეთქი, შენისანაი გამოწყ-
ბილი კინტოები ათასი გოდორი
ნახავს თბილისის ქალაქს და ვინ
მოგეტყუებიოს იგი მუატყუე მეთ-
ჯიბაში მქონდა პაწაი გროში, სხ-
თხილე გინდა ამ ჩვენ დროში, მე-
ქარე ჯიბეზე ხელი, ჩავაფრინ

რაც ძალა და ღონე მქონდა, მოვივიდა ქუჩაში, გავხტი განში და იქიდან მივაშტერდი გაბედულათ, მარა, შენც არ მომიკტე, ტყულაი რომაა ბანდალი არ უქნია, იდგა იქინეი აყუდებულ ბერსავით, გამისკდა გული შიშით, გადავსწყვიტე, აია რაცხა შტუქას მიხერხებს მეთქი, ჩიჩვი-ჩიჩვით, ფორთხი-ფორთხით, ამივეფარე დუქანს და იქიდან დოუწყე ყურყუტი, შევიდა იი ჩურჩუტი და შლექა გაადინა შით საგასპარიანცოში; დევიწერე პიჯვარი, მევიწმინდე ოფლი, მომივიდა ოხი, თურმე არც კინტო იყო და არც ჯიბგირი, არამედ გასპარიანცის მლოცველი მასწავლებელი, ვაი თავსხლაფი დაესხა ამისანა მასწავლებელს, რას ატყუებს იი სოფელს, რა უქირდა იმ ღმერთის პირიდან გადავარდნილს თავამათ შესულიყო შით და ჩემდა ფირფიტაი არ ჩაეტკლიცა.

ბუჯგუტი.

სატრფოს.

მისთვის შევკარ და მოგიძღვენ
ყვავილების თაიგული,
რომ მოგირთო სასაფლაო
და გახარო გაზაფხული.
შეხე ტყე-ველს, სულს იბრუნებს,
იქარგება არე-მარე,
შენც გაცოცხლდი, ეგ ოხერი
საფლავის ქვა გადაყარე
და შენს მგოსანს, ცრემლათ
დამდნარს—
ვინც სიმთ თრთოლვით თავს გევლები
განმიახლე სიყვარული,
ან საფლავზე დამაკვდები.

ვ. ჭყონია.

გამოცანა.

(ფოთისათვის.)

გამოსაცნობათ არ არის
მაინც და მაინც ძნელია,
ჩითახო „ადოკატია“
„ფრაკი“ აცვია გრძელია...
უსამართლობის ზღუდეგა
ქანქარში უყავს ხელია.
მაზედ ლოცულობს ხატ-და ჯვარს
მისთვინ სიკრუის მთქმელია!..
ბევრ მართალს ბედი ამწარა
დანით გამოსჭრა ყელია.
და კიდევ ბევრს იბოროტებს
ეს გაიძვერა მელია—
თუარ აჭამეთ მაგ ცბიერს
მათრახის კუდი მწველია...
აბა ვინ არის მკითხველო
მაგი ორ ფეხა მელია,
ბნელი ძალების მოსარჩლე
თანაც სიმართლის მკვლელია?..

კუჭაძე.

აცანელი და აკეთელი.

(ოქროპილ-ხარიტონის მუსაიფი.)

ოქროპილ შეხვდა ხარიტონს:—
საიდგან მობრძანდებიო!
ალბათ შენ შრომობ ხალხისთვის
ამდენს დადიხარ ცდებიო.
ხარიტონ ეტყვის—სწორს ამბობ
არ არის საკითხავიო,
ჩემი დევიზი ეს არის
ხალხს რომ შევსწირო თავიო.
მონდობილი მაქვს აკეთლებს
მივცე საფოსტო გზაიო,
ამ გზით ხომ ისარგებლებენ
ჩვენს გარდა ბევრი სხვაიო.
სამტრედია და ოდიში,
ერკეთი, ოზურგეთიო,
ფოთი, აცანა და ბახვი,
ჯვარცხმა და ბასილეთიო.
თქვენი აცანის გზაი კი
მარტო აცანას ხვდებაო,
ჩვენი „გათხრილის“ გზაი ძმავ
ქვეყანას მოხმარდებაო.
ოქროპილ ეტყვის: —სირცხვილი
საქონელია კაიო
ენა რომ იტყვის ძმიავ
ყველას არ უნდა თქმაიო
რომ ჩვენი გზაი სხვას არ სტევს
რატომ გგონია თქვენაო,
ჰაერში ხომ არ გვწადია
ჰაეროპლანით ფრენაო!..
რომ დაბრძანდები; სოფლები
ჩამოიარე მთელიო,
აცანა გვღუპავს იძახი,
როლი იკისრე ძნელიო..
რაში დაგპირდა ოდიში
სიტყვები მოქარგულიო,
ვის მოატყუებთ როდესაც
ქარტა აქვთ დახატულიო.
ქუთაისს ასვლა ჩამოსვლით
რათ იღალები ცდებიო,
აკეთი ამით რას იგებს
შენ სჭამო კატლეტებიო!..
ხალხმაც მთავრობამც ჩვენი გზა
„გაპლანეს,“ იცნეს სწორათო
და შენ კი მაინც გვაგინებ
იქცევი შეუპოვრათო!
ნურც გეწყინება ხარიტონ
რომ შენს აზრს არვინ აჰყვაო,
გისურვებ კვლავ არ გეფიქროს
ამ გვარათ წყალის ნაყვაო.

ისკანდერ.

წერილები.

ზემო აკეთი ვანიჩქა მგ-ძეს საყუცხოვრო გიტარა ღილინი და მშვენიერი ვახშამი ძაღლის ყურყურსავით გაუარა თურმე რაცხას „რომ“ ელოდა „იმათგან“ იმიტომ „უგიტარა“ „უკამპანია,“ თურმე მარტო მადლობა ვერაფერი მოსახმარია ვანიკოსათვის.

ისკანდერ.

—

ს. მიხაილოვი სტოლიარ სანდრო გიორგობიანის ქარხანაში გაიხსნა ყველა ხელოსანთა თვალ-ყურის მდევებელი „ბიურო,“ რომლის დირექტორათ თვით სანდრო ითვლება და მდივნათ, ანუ აგენტათ დურგალი ვასო დეკანოიძე. ჯერჯერობით ერთი ხელოსანი დადალეს და ბოროტი ენები ამბობენ—ბევრს არა კეთილსაიმედო პირთ მოელის ასეთივე დადალვაო.

კუდრაჭა.

—

სუფსა. პურის ფასმა თუმცალა დიდი ხანია დაიკლო, მაგრამ აქაური მეფურნეები დაკლების შესახებ ყურსაც არ აბარტყუნებენ. ალბათ მათრახის კუდს ელოდებიან.

—სიმინდის ვაგონზე მომუშავე მუშები, ჟურნალ-გაზეთებს ერთი ვერსტის სიშორეზე ახლოს არ იკარებენ, სამაგიეროთ შემოიღეს დილის 9 საათიდან ღამის 1 საათამდის კარტ-ნარდის თამაში

—ხი.

—

გამოცანა.

(პიათურისათვის)

ტანათ მაღალი ბრძანდება,
ჭკუით კი მეტათ თხელია,
ფეხი პატარა, ჩინური,
ვიწრო აქვს ერთობ წელია.
წელიწადის გვესტუმრა
ეს ფუქსავატი „გვამია"
სწრაფად დაერია მუშებსა,
როგორც ჭირი და ჟამია!
დღეში ათასჯერად იცვლება,
მისი ბუნება ჭრელია,
ტვინის ქავილი დასჩემდა
მოსარჩენია ძნელია.
გაიძვერაა წუწული
სინიდისს გარეცხილია,
თავი შეურცხვეს ვინც იმას,
ადგილი მისცა თბილია!
შეგნებულ მუშას არ ინდობს
ყველას გაუსვა ხელია,
ნათლიმამები ბევრი ჰყავს
ამფსონი, მისი მცველია.
რომელმაც უძღვნა „საკურთხი"
ღვინო, ხელადა სველია,
იგი მეის მუშათ აკურთხა,
ვითარცა საქმის მქნელია.
ვინც არა გარეთ გაგდო
გამოსჭრა საწყლებს ყელია,
ყველა ზარმაცად მონათლა
პროტესტი უძღვნა გრძელია.
შტრეიკბეხერთა ლაშქარი
შეჰკრიბა, ხროვა მთელია,
თითონ შუაში ჩაუჯდა,
სიმღერა იწყო ნელია.
დღესაც იმათში იმღერის,
ლაქიები ჰყავს ბევრია,
მუშებს ჩაულაპას უქადის
ეს შავრაზმელთა წევრია.
საჯაროდ დაგისურათეთ
აწი მიხვდებით მგონია,
ვინც ვერ ამოხსნის ადვილათ მას,
ჭკუა სულ აღარ ჰქონია!
ვინც გამოიცნობს თავისით,
არ იდებს სხვისა შუნათსა,
იგი საჩუქრათ მიიღებს
„ქელაშვილების" სურათსა.

შტრეიკბეხერი.

ორი ბანაკი.

მართალია, რომ თავადებს
დაელევათ-საზდო, ხინკი,
(ფეხთ აცვია ძველი ჯღარკი,
ტანს უმშვენებს-ძველი კინკი)
მაშინ ხალხის შესახედათ—
მოედანზე ჰქუხს და სჭექავს,
(ხოლო სახლში, ჩაჩანაკად
ჩამჯდარა და ნაცარს ქექავს!)

—

მაგრამ იგივ უხინკილო,
თუ გამოძღა, გაიბერა,
არა ნაკლებ იბრძვის, ომობს,
რომ დაიცვას—საზრდო, კერა,
ამ ფიშტონას (სათამაშოს)
იგიც მედგრად ატკაცუნებს!
და ჰგონიათ, მთელი ხალხი
გმირათა სთვლის ამ კაცუნებს!..

მათრახოსანი.

...ამხ. „მერანი", მიხაილის ქ. № 13.